

## ხელნაწერი: ... (S-4997), XIX ს.

### მინაწერები

#### პირველ გვერდზე

რომელსაცა ყმა კაცსა სწავლა სძულს იცოდეს რომე თავის თავი არ უყვარს  
ერთხელ მეც ვიყავ ყმა კაცი მოვკრიფე ია და ვარდი  
მეიდანზე რომ გავიდი ქორულებ შევქენ ნავარდი  
სადაც რომ ომი გაჭირდა თავსა ვეცი ბოლოს გავარდი  
უყურე ამ ცრუ სოფელსა ბოლოს რა ჟამსა დავარდი  
ღ~თო მიბოძე შეძლება

დიდი ნიაღვარი და სხვილი სეტყვა რომ მოვიდა ასე რომე თუმცა გვენახა მაგრამ იმისთანა  
სეტყვა არა, რომელიცა იმ დროსა ჩემი წინასი სახლები გაკეთებული იყო და ჯერ პოლი არ იყო  
დაფარული რომ სახლებშიაც წყალი შევარდა კლდის მხრიდან. ენკენისთვის 23 ხუთმაბათს  
დღესა 1843 წელსა ქართული კ~ს ფლ

34r

მე აზნაურ ყორღანივს მოსეს აღმიწერია საკითხავად ძეთა ჩემთათვის

130r

რადგან აქა მეტი იყო მე დავწერე ლექსი ესე  
ამად რომე ძენო ჩემნო სიყვარულით გქონდეთ ესე  
შენ ასულო საყვარელო ვიცი გიყვარს კითხვა ესე  
მარადის მახსენებდით რადგან გთხოვეთ სიტყვა ესე

162v

დიდება ღმერთსა მამასა და ძესა და სულსა წმინდასა ამინ  
აღიწერა ესე ვეფხისტყაოსანი ქალაქსა ტიფლისისა ხელითა აზნაურისა მოსესა ყორღანოვისათა  
ძეთა ჩემთათვის უფალმან მრავალ ჟამიერ ჰყოს სახსენებელი მათნი და სალხინოთა  
აღმოკითხვიდნენ ამით ტმთ.

163r

კურთხეულ იყვნეთ რომელთაც ამ გვარი წიგნები ნახოთ და გამოიწეროთ ამაზედან იჭირ  
ნახულოთ ამად რომე მათ გავლილ წინაპართა ჯელმწიფეთა და ფალავანთა ამბავნი მეორედ  
განაახლოს შესაქცევრად უცხო არის და მათად საგონებლად უკვე თუ ყარამან ამად რომე ენასაც  
გაიმართავს და კაი მსწავლელები შეიქნება ჟამი შეიმატებს კითხვითა დაიწერა და დასრულდა ეს  
წიგნი ვეფხისტყაოსანი თვესა აგვისტოსა ათსა წელსა ჩყლზ. რომელთაცა ესე წიგნი

აღმოვიტხოთ ვითხოვ მე ამისი მწერალი ცოდვილი მკითხველისაგან შენდობითა მამიგონებდეთ აგრეთვე შენ ჩემნო რათა თქვენცა იყვნეთ დღეგრძელობით და ხსენებულნი წინასა ლ~თისა საუკუნოდ ამონ.

8

18 - 37 აგვისტო 10. 1837 წელსა.

10

163v

ესე წიგნი დაწერილია და დარჩების საკითხავად მწერალისა ჳელი ლპების მონასა ძევს არის ავად ქვეყანა სულ ცუდათ მიდის რაც უქნია იმავ თავად თუმცა ესე უწერია შესაქცევრად არ თუ ავად. მე დავწერე ყორღანოვმან კეთილ შობილი მოსემან თუმც კელმწიფენი ყოფილან განავლო მათმა ანბავმან არ გამიკიცხოთ წერისთვის დრონი მამცა ჩემა ჟამმან შენდობითა მახსენებდით ბერმან თქვას თუ გინა ყმამან. ესე ლექსი რომ დავწერე იტყვიან წელსა ათასსა მოყვევ ნელა შევასრულე აქ მოემატა რვა ასსა კიდევ რიცხვსა ამას უნდა გახდება ოცდაჩვიდმეტსა როცა ესე გავათავე იყო აგვისტოს თვისა ათსა

დაბლა მიწერილია შემდეგი ანდერძი:

დასრულდა ესე ვეფხისტყაოსანი და კიდევ ამის შემდეგ ნეტარ ხსენებული მეფის ირაკლის მემკვიდრეების ისტორია. ამის დამწერის პატრონის მოსეს ყორღანოვისათა ძეთაჩემთათვის საკითხავითა და ჩემად საგონებლადა. ტნა-1837 წელსა.

164r

ბაგრატ ვნახე მარანსა ჯდა მუხრანს შექნა ნდომა ჳელ ჳყო საყდრის აშენებას დაიჭირა ბატონობა ძველი ტახტი განაახლა ჳპოვა ლ~თისგან მორწმუნობა ნაძლევი ვარ რუსთველისა თუ მეტი ქმნა ჩემოდენა.

### **აქა რუსთველის პასუხი**

რას მამეჩი ბერი ბერსა მე გავლექსე ლამაზ ენა  
არშიყი ვარ თვალ ნარბისა ვინ სოფელი დააშვენა  
შენ ტყულიად შემოგფიცეს მათ აუბნეს ტკბილი ენა  
თუმცა ფასი არ მიბოძა მართ რუსთავი ამიშენა

### **აქა ზაგრატის პასუხი**

ვიცი ჩემი სერაპინ ხარ და მრავლისა მონახული  
მეფე უნდა ლთის მოშიში სიკეთეთა დანერგული  
ამ სოფლისა დიდებასა მირჩევნია მცირე სული  
არას მარგებს საუკუნოს საბრჭოდ შენი ჭირნახული.